

# მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2018 წლის საგრანტო კონკურსი

## ხშირად დასმული კითხვები

### მობილობა

**1. არის თუ არა სავალდებულო ღონისძიებაზე მოწვევისა და პროგრამაში ჩასმის დოკუმენტების წარმოდგენა პროექტის რეგისტრაციისას?**

**პასუხი:** არა, საზღვარგარეთ დაგეგმილი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე მოწვევისა და პროგრამაში ჩასმის დოკუმენტები უნდა წარმოდგინონ მხოლოდ გამარჯვებულმა აპლიკანტებმა კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ 2018 წლის 3 დეკემბრამდე.

**2. გამოყოფილია თუ არა პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებები მობილობის გრანტის ფარგლებში?**

**პასუხი:** არა, მობილობის გრანტისათვის პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებები არ არის გამოყოფილი.

**3. რა ტიპის ღონისძიებებზე ვრცელდება მობილობის გრანტი?**

**პასუხი:** მობილობის გრანტის დაფინანსებით მოხსენებით მონაწილეობა შესაძლებელია: კონფერენციაზე, კონგრესზე, ფორუმზე, სიმპოზიუმზე ან სამუშაო შეხვედრაზე (სემინარი Workshop).

**4. ფინანსდება თუ არა საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიება მობილობის გრანტის ფარგლებში?**

**პასუხი:** არა, მობილობის გრანტის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ საზღვარგარეთ ორგანიზებული სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა ზეპირი ან სასტენდო მოხსენების წარდგენის მიზნით.

**5. უნდა წარმოვადგინო თუ არა წინასწარ გაწერილი ბიუჯეტი თუ რა ხარჯების გაწევა მინდა?**

**პასუხი:** ბიუჯეტის წარმოდგენა არ მოგეთხოვებათ. გამარჯვებული აპლიკანტებისთვის გამოყოფილია ფიქსირებული თანხა 2 000 დოლარის ეკვივალენტი ლარში. გრანტის მიმღებს ფონდი ავანსად გადაურცხავს ფიქსირებული თანხის 90 პროცენტს. გრანტის მიმღების მიერ მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის აქტის საფუძველზე მოხდება საბოლოო ანგარიშსწორება.

**6. სანამ გამარჯვებული პროექტები გამოვლინდება, წინასწარ მიწევს ვიზის ხარჯების გაწევა, მაინტერესებს ანაზღაურებს თუ არა ფონდი ამ ხარჯებს კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში?**

**პასუხი:** გამარჯვებულად გამოვლენის შემთხვევაში, ფონდის მიერ მიზნობრივ ხარჯად აღიარდება, კონკურსის გამოცხადების შემდგომ პერიოდში გაწეული ის ხარჯები, რომლებიც შესაბამისობაშია კონკურსით პირობებში განსაზღვრულ ბიუჯეტის ხარჯვით კატეგორიებთან.

## საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები

### 1. უცხოეთის მოქალაქე მეცნიერის რეგისტრაცია პროექტში:

ა) ძირითადი პერსონალის სტატუსით - შეიძლება იყოს სამეცნიერო კომიტეტის წევრი - რეგისტრირდება GMUS-ში, ავსებს მეცნიერის პროფილს, ატვირთავს ხარისხის დამადასტურებელ ლეგალიზირებულ დოკუმენტს პროფილში, ხელს აწერს „განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (გენერირდება GMUS-ში).

ბ) მოწვეული ლექტორი/პლენარული მომხსენებლის სტატუსით, რომელიც არ არის გრანტის მიმღები - არ არის სავალდებულო დარეგისტრირდეს GMUS-ში, არ აწერს ხელს „განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (გენერირდება GMUS-ში).

### 2. აქვს თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება „შ.პ.ს“ სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას?

პასუხი: დიახ, უფლება აქვს მიიღოს კონკურსში მონაწილეობა.

### 3. შეიძლება თუ არა, რომ პროექტის ხელმძღვანელი და კოორდინატორი იყოს ერთი და იგივე პიროვნება?

პასუხი: არა, პროექტის ხელმძღვანელი და კოორდინატორი უნდა იყოს სხვადასხვა პიროვნება.

### 4. შეიძლება თუ არა, ბიუჯეტში გავწერთ კვების ხარჯები კონფერენციის მონაწილეებისთვის?

პასუხი: დიახ, შესაბამისი ხარჯები შეგიძლიათ გაწეროთ ბიუჯეტში საქონელი და მომსახურების მუხლიდან.

### 5. შეიძლება თუ არა უცხოეთის მოქალაქე ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულის პლენარული მომხსენებლის სტატუსით ძირითად პერსონალში ჩართვა?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

### 6. წარმომადგენლობითი ხარჯი თუ ითვალისწინებს მოწვეული ლექტორებისთვის საერთაშორისო სამგზავრო ბილეთს და ჰონორარს?

პასუხი: წარმომადგენლობითი ხარჯი ითვალისწინებს მგზავრობის ხარჯს, რაც შეეხება ჰონორარს მისი გაცემა წარმომადგენლობითი ხარჯიდან არ შეიძლება.

### 7. შეიძლება თუ არა, უცხოეთიდან მოწვეულ პროფესორების საცხოვრებელი ხარჯები დავფაროთ საგრანტო დაფინანსებიდან?

პასუხი: დიახ, უცხოეთიდან მოწვეული პროფესორების სასტუმროს მომსახურების ხარჯები შეიძლება გაითავალისწინოთ წარმომადგენლობითი ხარჯების კატეგორიაში.

**8. შეიძლება თუ არა, ერთმა პიროვნებამ, ხელმძღვანელის სტატუსით, დაარეგისტრიროს კონფერენცია და სეზონური სკოლა ცალ-ცალკე პროექტად?**

**პასუხი:** არა, შესაძლებელია მხოლოდ ერთი პროექტის დაარეგისტრირება. ერთ პიროვნებას, ხელმძღვანელის სტატუსით, შეუძლია დაარეგისტრიროს სეზონური სკოლა და კონფერენცია მხოლოდ კომბინირებული ღონისძიების სახით.

**9. შესაძლებელია თუ არა, უცხოეთში მოღვაწე ქართველმა დაინტერესების წერილის დანართი ქართულად შეავსოს?**

**პასუხი:** უცხოეთში მოღვაწე ქართველმა უნდა წარმოადგინოს დაინტერესების წერილის ინგლისური ვერსია (დანართი 9), ხოლო მისი ქართული თარგმანი შესაძლებელია მანვე მოამზადოს და დაადასტუროს ხელმოწერით.

**10. რა ხანგრძლივობის უნდა იყოს სეზონური სკოლის გრანტი ან კომბინირებული ღონისძიება?**

**პასუხი:** სეზონური სკოლის (როგორც დამოუკიდებელი, ასევე კომბინირებული ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიების) ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ 30 საათი.

**11. ფინანსდება თუ არა ვებგვერდის შექმნა და ადინისტრირება?**

**პასუხი:** არა, საგრანტო სახსრებით არ ფინანსდება ვებგვერდის შექმნა და ადინისტრირება. გრანტის მიმღები ვალდებულია შექმნას და ადინისტრირება გაუწიოს პროექტის ვებგვერდს, ან შესაბამის ბმულს წამყვანი ორგანიზაციის ვებგვერდზე, სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია ღონისძიების შესახებ, ღონისძიების მიზნების, თემების, ჩატარების დროისა და ადგილის, მონაწილეობისა და სამიზნე აუდიტორიისათვის საინტერესო ინფორმაციით.

**12. შეიძლება თუ არა, საქონელი და მომსახურების მუხლიდან შევიძინო 500 ლარზე მეტი ღირებულების დანადგარი?**

**პასუხი:** არა, არ შეიძლება. საგრანტო დაფინანსების ბიუჯეტი არ ითვალისწინებს ძირითადი აქტივების შეძენას.

**13. იბეგრება თუ არა ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება?**

**პასუხი:** არა, ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ იბეგრება.

**14. ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს ძირითად პერსონალში?**

**პასუხი:** ძირითად პერსონალი შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს; საკონფერენციო ან კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში, აგრეთვე კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრები და კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები.

**15. ვინ შეიძლება იყოს დამხმარე პერსონალი?**

**პასუხი:** პროექტის დამხმარე პერსონალს შეადგენენ პირები, რომლებიც ჩართულნი არიან ტექნიკური საკითხების მოგვარებაში.

**16. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მოწვეული უცხოელი პროფესორები ძირითად პერსონალად მოიაზრებიან თუ დამხმარე პერსონალად?**

**პასუხი:** შესაძლებელია მათ ჰქონდეთ პროექტის ძირითადი პერსონალის სტატუსი. ამ შემთხვევაში, მათზე იმოქმედებს ძირითადი პერსონალის მიმართ წაყენებული მოთხოვნები. ასევე, შესაძლებელია ისინი ატარებდნენ მხოლოდ მოწვეული ლექტორების სტატუსს, ანუ არ წარმოადგენდნენ არც ძირითად პერსონალს და არც დამხმარე პერსონალს.